ოქმი №11

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 20 ივნისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარე - ლ. კუჭავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ,,შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს” მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე“; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ,,2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“

განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ“ ასევე გააცნო განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი–0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს” მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

3. 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია“

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 27 ოვნისს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია